განმარტებითი ბარათი

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონებები, რომელიც მდებარეობს პირველი მაისისა (ს/კ 45.09.25.016) და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში (ს/კ 45.18.02.408) არის დაუტვირთავი, რომელზედაც მომზადდა აუდიტორიული შეფასებები მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დანართის შესაბამისად აღნიშნული ფართების გაიჯარება აუქციონის ფორმით.

რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი

სამსახურის უფროსი ა. ვარდია

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **პროექტი**

განკარგულება

2022 წლის აპრილი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" პუნქტის ,,დ.ზ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის, მე -4 მუხლის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) , აუქციონის წესით გადაცემაზე დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში. მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ N3.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

პროექტი შეადგინა ლ. თოდუა

შეთანხმებულია; რ. ზაქარაია

ა. ვარდია

ფ. რუხაძე

ჯ. ბერაია

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

გასაიჯარებელი ქონების ნუსხა

N	ქონების დასახელება	მისამართი	სარგებლობის ფორმა	ს/კ	საიჯარო ქირა თვეში	წლიური საიჯარო ქირა	„ბე“ 10%	„ბიჯი“ 10%	საიჯარო ფართი კვ.მ	ვადა
1	ადმინისტრაციული შენობა	ხობი პირველი მაისი	იჯარა	45.09.25.016	95	1140	114	114	15.88	
2	ადმინისტრაციული შენობა	ჭალადიდი	იჯარა	45.18.02.408	54	648	65	65	10.72	
3	ადმინისტრაციული შენობა	ჭალადიდი	იჯარა	45.18.02.408	50	600	60	60	10.06	
4	ადმინისტრაციული შენობა	ჭალადიდი	იჯარა	45.18.02.408	109	1308	130.8	130.8	21.75	
5	ადმინისტრაციული შენობა	ჭალადიდი	იჯარა	45.18.02.408	106	1272	127.20	127,20	21.19	
6	ადმინისტრაციული შენობა	ჭალადიდი	იჯარა	45.18.02.408	85	1020	102	102	16.96	